ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების საკითხთა კომისიის
სხდომის ოქმი № 8

ქ. ლანჩხუთი **21.09.2022**
15:00 საათი

სხდომას ესწრებოდნენ: ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების საკითხთა კომისიის თავმჯდომარე **ზაზა წულაძე.**

კომისიის წევრები: გიორგი იმნაიშვილი, კარლო კვიტაიშვილი, გიორგი ჩახვაძე, ალექსანდრე მახათაძე, გოჩა ჯანაშია.

მოწვეული: ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერის პირველი მოადგილე ეკატერინე გუჯაბიძე, ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის ქონების მართვისა და სოფლის მეურნეობის სამსახურის უფროსი ირაკლი ხუხუნაიშვილი, საკრებულოს აპარატის მესამე რანგის პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი საზოგადოებასთან ურთიერთობის საკითხებში ლაშა სარჯველაძე, საკრებულოს აპარატის მეოთხე რანგის პირველი კატეგორიის უმცროსი სპეციალისტი თამარ ფირცხალაიშვილი.

კომისიის სხდომას არ ესწრებოდა დეპუტატები: ვლადიმერ ნანაძე, კახაბერ ასკურავა, გივი ცინცაძე.

კომისიის თავმჯდომარემ, ზაზა წულაძემ სხდომას გააცნო დღის წესრიგის პროექტი:

1.„ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების სახელმწიფო საკუთრებაში გადაცემის შესახებ" ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტის განხილვა.

/მომხსენებელი: ზაზა წულაძე/

2.„ა(ა)იპ „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ეკონომიკური განვითარებისა და ინოვაციების ცენტრი"-ს (ს/კ: **233733984**) ლიკვიდაციაზე მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ "ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტის განხილვა.

/მომხსენებელი: ზაზა წულაძე/

კომისიის თავმჯდომარემ, ზაზა წულაძემ კენჭი უყარა დღის წესრიგის პროექტს:
მომხრე: 6; **წინააღმდეგი: არცერთი.**

დღის წესრიგის პირველი საკითხი: „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების სახელმწიფო საკუთრებაში გადაცემის შესახებ" ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი კომისიას გააცნო მერიის ქონების მართვისა და სოფლის მეურნეობის სამსახურის უფროსმა ირაკლი ხუხუნაიშვილმა. მან აღნიშნა, რომ 2022 წლის 7 სექტემბერს ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიაში შემოსულია სსიპ სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს წერილი 5/50425, რომელიც შეეხება ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ამბულატორიების კერძოდ: სუფსის ადმინისტრაციულ ერთეულში მდებარე 204.00 კვ.მ არასასოფლო სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი და მასზე განთავსებული 74.72.კვ.მ შენობა-ნაგებობა ს/კ 27.15.52.662. აკეთის ადმინისტრაციული ერთეულის სოფელ აკეთში მდებარე 377.00 კვ.მ არასასოფლო სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი და მასზე განთავსებული N1 შენობა- ნაგებობა ს/კ 27.03.43.361 და ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ნიგოითის ადმინისტრაციულ ერთეულის სოფელ ქვიანში მდებარე 315.00კვ.მ არასასოფლო სამეურნეო მიწის ნაკვეთის და მასზე განთავსებული 79.78 კვ.მ შენობა-ნაგებობა ს/კ 27.04.50.282 უძრავი ქონებების სახელმწიფოსათვის უსასყიდლოდ საკუთრებაში გადაცემას შემდგომში ა(ა)იპ საქართველოს სამედიცინო ჰოლდინგისათვის პირდაპირი მიყიდვის ფორმით სიმბოლურ ფასად 1 (ერთი) ლარად საკუთრებაში გადაცემის მიზნით, სადაც მოხდება „სოფლის ექიმის" კომპონენტით გათვალისწინებული მომსახურების განხორციელება.

კომისიამ მიიღო გადაწყვეტილება: „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების სახელმწიფო საკუთრებაში გადაცემის შესახებ" ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი კომისიის წევრების მიერ მიღებული იქნა შენიშვნების გარეშე.

სხდომის თავმჯდომარემ **ზაზა წულაძემ** კენჭი უყარა განკარგულების პროექტს.
მომხრე: 6; წინააღმდეგი: არცერთი.

დღის წესრიგის მეორე საკითხი: „ა(ა)იპ „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ეკონომიკური განვითარებისა და ინოვაციების ცენტრი"-ს (ს/კ: **233733984**) ლიკვიდაციაზე მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ "ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი კომისიას გააცნო ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერის პირველმა მოადგილემ ეკატერინე გუჯაბიძემ. მან აღნიშნა, რომ საქართველოს სახელმწიფო აუდიტის სამსახურის მიერ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტში ჩატარებული აუდიტორული შემოწმების შემდეგ გაცემულ რეკომენდაციებში ერთ-ერთი რეკომენდაცია იყო მერიის სტრუქტურული ერთეულების ფუნქციებსა და მუნიციპალიტეტის მიერ დაფუძნებული იურიდიული პირის საქმიანობის სფეროებს შორის ფუნქციათა გაორების აღმოფხვრა. აუდიტის ანგარიშში პირდაპირ დასახელდა „ა(ა)იპ „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ეკონომიკური განვითარებისა და ინოვაციების ცენტრი", რომლის საქმიანობის საგანიც ქმნიდა ფუნქციათა გაორების

შთაბეჭდილებას. აღნიშნულიდან გამომდინარე, მერიის პოზიციაა განხორციელდეს ხსენებული იურიდიული პირის ლიკვიდაცია, რასაც კომისიის წევრებმა მხარი დაუჭირა.

კომისიამ მიიღო გადაწყვეტილება: „ა(ა)იპ „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ეკონომიკური განვითარებისა და ინოვაციების ცენტრი"-ს (ს/კ: **233733984**) ლიკვიდაციაზე მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ" ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტის გაუქმების თაობაზე.

სხდომის თავმჯდომარემ **ზაზა წულაძემ** კენჭი უყარა განკარგულების პროექტს.
მომხრე: 6 ; წინააღმდეგი: არცერთი.

სხვადასხვა.

დეპუტატმა ალექსანდრე მახათაძემ აღნიშნა, რომ სტიქიის შედეგად ძლიერ დაზიანდა საყანე ფართობები. განადგურებულია დათესილი ყანების მინიმუმ 70%, მოსახლეობა არის უკიდურეს მდგომარეობაში. მისი თქმით, მთავრობა სტიქიური მოვლენების დროს (კახეთსა და სხვადასხვა რეგიონში) კონპენსირებას აკეთებს. ამიტომ მერიის შესაბამისმა სამსახურმა, ასევე, სოფლის მეურნეობის საკონსულტაციო ცენტრმა უნდა უზრუნველყოს ინფორმაციის მიწოდება შესაბამის სამინისტროსთან პრობლემური საკითხის აღმოსაფხვრელად.

ამით კომისიის სხდომამ მუშაობა დაასრულა.

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების საკითხთა კომისიის თავმჯდომარე: **ზაზა წულაძე**

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების საკითხთა კომისიის
სხდომის დასკვნა №8

21.09.2022 წელი
15.00 საათი

მოგახსენებთ, რომ მიმდინარე წლის 21 სექტემბერს მოწვეულ იქნა ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების საკითხთა კომისიის სხდომა.

სხდომამ განიხილა დღის წესრიგით გათვალისწინებული შემდეგი საკითხები:

1.„ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების სახელმწიფო საკუთრებაში გადაცემის შესახებ" ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტის განხილვა.

/მომხსენებელი: ზაზა წულაძე/

2.„ა(ა)იპ „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ეკონომიკური განვითარებისა და ინოვაციების ცენტრი"-ს (ს/კ: **233733984**) ლიკვიდაციაზე მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ "ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტის განხილვა.

/მომხსენებელი: ზაზა წულაძე/

დღის წესრიგის პირველი საკითხი „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების სახელმწიფო საკუთრებაში გადაცემის შესახებ" ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი კომისიის წევრების მიერ მიღებული იქნა შენიშვნების გარეშე.
მომხრე 6, წინააღმდეგი არცერთი.

დღის წესრიგის მეორე საკითხი „ა(ა)იპ „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ეკონომიკური განვითარებისა და ინოვაციების ცენტრი"-ს (ს/კ: **233733984**) ლიკვიდაციაზე მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ "ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტთან დაკავშირებით კომისიას მართებულად მიაჩნია წარმოდგენილი იურიდიული პირის ლიკვიდაცია.
მომხრე 6, წინააღმდეგი; არცერთი.

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების საკითხთა კომისიის თავმჯდომარე: **ზაზა წულაძე**

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების საკითხთა კომისიის წევრთა დასწრების სარეგისტრაციო ფურცელი

21.09. 2022 წელი
15:00 საათი

	სახელი, გვარი	გამოცხადების დრო	ხელმოწერა
1	ზაზა წულაძე	14 50	
2	ალექსანდრე მახათაძე	14 55	
3	კარლო კვიტაიშვილი	14 55	
4	გიორგი იმნაიშვილი	14.56	
5	ვლადიმერ ნანაძე	არ ესწრებოდა	
6	გიორგი ჩახვაძე	14 55	
7	გივი ცინცაძე	არ ესწრებოდა	
8	კახაბერ ასკურავა	არ ესწრებოდა	
9	გოჩა ჯანაშია	14 50	